572/2
1949

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული

„აუვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, ხწავლითა
სამშობლო გაახარეო“.

№ 7 ივლისი 1949

დილა

№ 7

საქართველოს ახალგ. ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ორგანო

სბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

ივლისი 1949

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ, ილსინე, ქართველთ მხარეო, და შენც, ქართველნო, სწავლითა ხამშობლო გაანარეო“.

ДИЛА
ежемесячный детский журнал
ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი

2 ივლისს გარდაიცვალა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ბულგარელი ხალხის ბელადი, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი.

მთელი თავისი გმირული სიცოცხლე გიორგი დიმიტროვმა კომუნიზმის დიად საქმეს შესწირა. იგი იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

ფაშისტური გერმანიის განადგურების შემდეგ გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი ხელმძღვანელობდა ბულგარეთის ახალი სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობას.

გიორგი დიმიტროვს მხურვალედ უყვარდა მშრომელი ახალგაზრდობა, მან ბევრი რამ გააკეთა ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი ერთგული მოზარდი თაობის აღსაზრდელად.

გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის სახელი მარად იცოცხლებს მშრომელი ხალხის გულში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი შატბერაშვილი
რევაზ მარგიანი

ნახატები შალვა ცხადაძისა

43594 4932

ხორბალა

გიორგი შატბერაშვილისა და **რევაზ მარგიანის** ნაწარმოებს „**ხორბალას**“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1949 წელს გამოცხადებულ საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებთა კონკურსზე მიენიჭა მეორე პრემია.

თავი პირველი

უკანასკნელი დღე გელელში

— **უჰ, უჰ,** ძლივს არ გათენდა!

წამოიძახა პურის პაწაწინა მარცვალმა, როცა კოლშეურნეობის საწყობის გამგემ ბელელს სახურავი ახადა, ხორბლით სავსე ტომარა ზურგზე წამოიკიდა და გარეთ გავიდა.

— კი არ გათენდა, ნამცეცავ, ბელელს თავი ახადეს... — დაკინვით გამოეხმაურა პაწაწინას მეორე მსხვილი მარცვალი.

— რა ვიცი, უცებ მზის სხივებში რომ გავეხვიე ასე ვიფიქრე! — **თავი იმართლა** ნამცეცამ და დარცხვენით **გადახედა** თავის ზორბა მეზობელს, **რომელსაც სახელად** ხორბალას ეძახდნენ.

— ძლივს არ ამოვისუნთქეთ.

— რა კარგია სინათლე... — აქებდნენ პურის მარცვლები.

— მიიწით, იქით მიიწით, თორე გამსრისავთ. — ევედრებოდა ნამცეცა თავის ჩასუქებულ მეზობლებს.

— საით, აბა საით გავიწიოთ? — **აბუზღუნდა** მისი გრძელკისერა მეზობელი. — სიბნელეში გაჩუმებული იყავი, არაფერს უჩიოდი, ახლა რამ აგატიტინა?

— გარეთ გვინდა, გარეთ!

— ჰაერზე... მზე გვინდა დავინახოთ — **იძახდნენ** ქვეშ მოხვედრილი მარცვლები.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა
Библиотека

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მზისა რა მოგახსენოთ და მე მგონი, მალე ტომარაში ჩაგვყრიან და წისქვილში გაგვარბენინებენ!—წამოიძახა ისევ ხორბალამ.

— წისქვილში?

— დიახ, წისქვილში.

— რა კარგია, წისქვილსაც ვნახავთ!

— რა არის წისქვილი?—იკითხა ვიღაცამ.

— არ იცი? წისქვილში დაგვფქვავენ... მერე გამოგვაცხობენ. ამბობენ, ძნელიაო, მაგრამ ჩვენი ოცნება ხომ პურად გახდომაა!

ამაყად აუხსნა ხორბალამ და ნამცეცას გამხდარ გვერდებს სიბრალულით შეხედა.

— ამ სიბნელეში ყოფნას, ისევ სქვილში სჯობს! — გაიძახოდა ნამცეცა. სხვებიც ჟივჟივებდნენ, იშმუშნებოდნენ და ერთმანეთს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ.

უცებ ზემოდან ვიღაცის მძლავრი, ჩახლეჩილი ხმა გაისმა:

— სულელებო, თქვენ გგონიათ, მართლა წისქვილში წახვალთ?..

ყველანი შეკრთნენ, ენა ჩაუვარდათ, დადუმდნენ.

სიჩუმე ისევ გამბედავმა ხორბალამ დაარღვია.

— ჯერ გვითხარით, ამხანაგო, საიდან ყვირით? მგონი სადღაც, ძალიან ზევით უნდა იყოთ!

— დიახ, ზევით გახლავართ, ძალიან ზევით, მარჯვენა კუთხის თავზე...

უპასუხა ჩახლეჩილმა ხმამ. ხორბალამ ქუთუთოები ასწია, თვალი კედელს ააყოლა, მაგრამ კუთხის თავზე აბლაბუდების მეტი ვერაფერი დაინახა და სინანულით თქვა:

— მე მხოლოდ აბლაბუდებს ვხედავ!

— დიახ, ერთი წელიწადია მე ობობას ქსელში ვცხოვრობ... მართალია, აქ ძალიან ცივა, მაგრამ შევეჩვიე... ობობას შიშით ვერაფერი მეკარება...

— ერთი წელიწადია?

— მანდ რა გინდა?

— საიდან, როგორ ახვედი?

ახმაურდნენ პურის მარცვლები...

— ეს გრძელი ამბავია, — სევდიანად თქვა აბლაბუდაში მჯდარმა მარცვალმა.— მე და თქვენი მშობლები ერთი თავთავის შვილები ვართ, მე თქვენი ბიძა ვარ!

— ჩვენი ბიძა! — ახმაურდნენ განცვიფრებული მარცვლები.

— დიახ, შარშან მე, თქვენს მშობლებთან ერთად მაგ ბეღელში მოვხვდი. ორ დღესაც არ გაევლო, რომ ჭიანჭველამ მოულოდნელად მომიტაცა... შავდაუკულმა ის დღე... დიდხანს მატარა ამ კედლებზე. ხან ალმა, ხან დალმა... აი, იქ ქვაზე ფეხი დაუსხლტა, მე დაბლა ჩამოვვარდი და ამ ხაფანგში მოვხვდი... ეჰ, ალბათ სამუდამოდ.

— რა არის ჭიანჭველა?—იკითხა ხმის კანკალით ნამცეცამ.

— მე ვიცი... თავთავიდან დამინახავს, მიწაზე მიცოცავდა, არ ვიცოდი თუ ასეთი ონავარი იყო. პატარა ტანისაა! — ჩაერია ლაპარაკში ხორბალა.

— პატარაა, მაგრამ ღონიერი. ერიდეთ მასთან შეხვედრას, შვილებო; თორემ ველარც მინდვრებს ნახავთ და ველარც წისქვილს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— წისქვილზე გამახსენდა,—შეაწყვეტინა ისევ ხორბალამ,—საიდან იცით, რომ წისქვილში არ წავალთ?

— ვიცი, ამდენხანს აბა აქ რას ვაკეთებ. მე ყველაფერი ვიცი...

— გვითხარით, მაშ სად წავალთ, რა მოგველის?—დაიწრიპინა კვლავ ნამცეცამ. მისი წრიპინი მაღლა მჯდომის სიცილმა დაჰფარა.

— თქვენ ერთხელ კიდევ მოგიხდებათ მინდორში წასვლა, მერე თქვენი შვილები მოვლენ!

— ჩვენი შვილები?

— რა იცი?

— გვითხარი?

— გვითხარი, რა მოგველის?

კვლავ ახმაურდნენ პურის მარცვლები.

— ეგ ბელელი, რომელშიაც თქვენა ხართ მოთავსებული, სათესლე ბელელია, აი, ამ ჭუჭრუტანიდან ვხედავ ხოლმე, როგორ მიაქვთ ტომრებით ხორბალი მინდორში და თესავენ. აგერ საწყობის გამგე მოდის. მალე თქვენც მინდორში წაგიღებენ და დაგთესავენ... ეჰ, ნეტავი თქვენ!—სინანულით ჩამოსძახა უცნობმა.

— ნუთუ ვერასოდეს ველარ ჩამოხვალთ, ბიძია, მანდედან. ნუთუ სამუდამოდ ტყვეობაში უნდა იყოთ?—სიბრალულით შეეკითხა პაწაწინა.

— ალბათ ასეთი ბედი მქონია, ალბათ აქ მოვკვდები.

საწყობში უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ყველა სწუხდა, ყველა იზიარებდა აბლაბუდაში ჩავარდნილი მარცვლის მწუხარებას.

უცებ კარი ხმაურით გაიღო, პურის მარცვლები გაიტრუნენ. საწყობის გამგე და რამდენიმე ახალგაზრდა შემოვიდნენ. მოხუცი ილიმებოდა, თან რაღაცას ღიღინებდა, თან ჩანახით ბელლიდან ხორბალს ტომარაში ჰყრიდა...

— იფ, იფ... რა სათესლე ხორბალია, წელს დიდ მოსავალს მივიღებთ.—წამოიძახა კმაყოფილმა მოხუცმა.

— მივდივართ, მივდივართ...—ჩურჩულებდნენ პურის მარცვლები და ერთმანეთს ეკვროდნენ.

ისევ ჩამობნელდა, მძლავრმა ხელმა ტომარა აიტაცა და კარისკენ წაიღო.

— ისევ დაღამდა.—შიშით დაიკვნესა ნამცეცამ.

— კი არ დაღამდა, ტომარაში ვართ, მინდორში მივდივართ... ნუ გეშინია...—გაამხნევა პატარა მეგობარი ხორბალამ. უცებ აბლაბუდიდან სევდიანი ხმა გაისმა:

— მშვიდობით, შვილებო, მშვიდობით, ბედნიერი მგზავრობა. კარგად აღმოცენება... მშვიდობით.

ეჰ, რა მწუხარე იყო ეს ძახილი. მიმავალ პურის მარცვლებს გულები შეუთრთოლდათ. ერთმანეთს მიეკვრნენ და წაჩურჩულეს:

— უბედური, ნუთუ მართლა მუდამ ტყვეობაში უნდა იყოს...

მხოლოდ გულმაგარა ხორბალამ გაბედა ხმის ამოღება, მშვიდობით, მშვიდობითო, დაიძახა, მაგრამ მისი ხმა საწყობის კარის ჭრიალმა დაჰფარა.

აბლაბუდაში ჩავარდნილი მარცვალი მარტო დარჩა.

თავი მეოთხე

მარტოობა

ბიჭოს!—წამოიძახა განცვიფრებით ხორბალამ,—მე მინდვრებს ვხედავ, აი, გზიდან გადავუხვიეთ, ბილიკზე მივდივართ...

— ალბათ გეჩვენება, ამ ბნელი ტომრიდან ქვეყანას როგორ დაინახავ? — დაეჭვდა ტომრის შუაგულში მოხვედრილი ნამცეცა.

— არა, არა... აი, აქ, კუთხეში ტომარა გახვრეტილი ყოფილა. ჭუჭრუტანიდან შუქი შემოდის, მზეს ვხედავ...

— მზესა ხედავ?

— რა კარგია, ნეტავ ჩვენც დაგვანახვა მზე...—ახმაურდნენ მარცვლები, ამოძრავდნენ და ხორბალასაკენ გაიწიეს.

— მოიცათ, ნუ მაწვებით, თორემ გადამაგდებთ! — შიშით წამოიძახა ხორბალამ და მკერდით ტომრის ბეწვებს მიეყრდნო. მაგრამ მისი ძახილი პურის მარცვლებს აღარ ესმოდათ. ყველა ჭუჭრუტანისაკენ მიიწევდა, ყველას მზის დანახვა უნდოდა.

— ვაიმე, რას სჩადით, რას?—ერთხელ კიდევ დაიკივლა ხორბალამ.

— ხალხო, რა დაგემართათ, რა?— წრიპინებდა ნამცეცა და მოზღვავებულ მარცვლების შეჩერებას ამაოდ ლამობდა.

ხორბალამ მოწოლას ველარ გაუძლო, ჭუჭრუტანიდან უნებურად თავი გამოყო, გასხლტა, ტომრიდან გამოვარდა და ნახნავის გვერდით ჩაყოლებულ რუს პირას დაეცა.

— მოიცათ, მოიცათ, ნუ დამტოვებთ! —უმწეოდ ყვიროდა ფხვიერ მიწაზე გულალმა დავარდნილი ხორბალა, მაგრამ მისი არავის ესმოდა. იქნება ესმოდათ კიდეც მის მეგობრებს, მაგრამ... ახალგაზრდა, მხარბეჭიანი ჭაბუკის ზურგზე წამოკიდებული ტომარა ლაღად მიირხეოდა. ხორბალასაკენ არავინ იხედებოდა. მის უბედურებას არავინ ხედავდა.

ხორბალამ კარგად დაინახა, როგორ ჩამოიხსნა ზურგიდან ჭაბუკმა ტომარა, როგორ მიიტანა უზარმაზარ მანქანასთან გაჩერებულ კოლმეურნეებთან.

ჭაბუკმა ტომარას პირი მოხსნა, მუჭით ხორბალი ამოიღო და ამხანაგებს გაასინჯა. გლეხებმა ერთმანეთს ღიმილით თავი დაუქნიეს და რაღაც უთხრეს. ხორბალას მათი ლაპარაკი არ ესმოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მის მეგობრებსა და ტოლ-ამხანაგებს აქებდნენ.

გული სტკიოდა ხორბალას, თრთოდა, გული მეგობრებისკენ უწევდა.

ერთმა ტანადმა კაცმა მანქანა აახმაურა, სხვებმა ფარცხები გაასწორეს. მანქანა დაიძრა. თესვა დაიწყეს. მარტოობა იგრძნო ხორბალამ. უცებ აბლაბუდაში მოხვედრილი ბიძია გაახსენდა და გული სევდით შეეკუმშა.

„ის უფრო ბედნიერია, უვნებელ ადგილას მოხვდა, მე კი, ვინ იცის რა მომელის, ღამე აქ უნდა გავათიო... მერე ვინ იცის, რამდენი ღამე?“

მერე როგორ ცივა. შემოდგომის სუსხიანი ქარი უბერავს. თანდათან ძლიერდება. ამ ხმას ადამიანთა მხიარული ყიჟინა მოაქვს... ალბათ ხორბალას ტოლებიც მხიარულობენ, ახლად დაფარცხილ ნოყიერ მიწაში, საზამთრო ბინებში თბილად წვანან და მარტოობაში მყოფი მეგობარი არც ახსენდებათ...

ნუთუ?.. ნუთუ დაივიწყებენ... ნუთუ ველარ შეხვდება მათ?

უცებ ხორბალას რაღაც ფაჩუნი მოესმა. ვილაც მძიმე ნაბიჯით, ხვნეშით მიდიოდა მისკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვაი, თუ ჭიანჭველაა“ გაიფიქრა ხორბალამ და შიშით გააჟრჟოლა.

მართლაც ჭიანჭველა იდგა მის წინ, ულვაშებს აცმაცუნებდა და შავ თვალებს მსუნაგად აბრიალებდა. ალბათ მსუქანი ხორბალას დანახვა ახარებდა.

ჭიანჭველა ხორბალას დაეჭიდა. ბასრი კბილები ტანში ჩაასო და თავისკენ გასწია. ხორბალამ ტკივილი იგრძნო, დაიკივლა, მაგრამ ჭიანჭველა მის ძახილს აინუნშიაც არ აგდებდა, ალბათ არც ესმოდა.

— „ვერ მომერევი, ვერა. შენ ჩემზე პატარა ხარ“... დაიკვნესა ხორბალამ. გაჯიუტდა, მიწას ზურგით დაეკრო, მაგრამ ჭიანჭველა უფრო ლონიერი აღმოჩნდა. ის სვენებს-ვენებითა და ოფლის ღვრით მიათრევდა თავის მსხვერპლს. აგერ ჭიანჭველათა ქალაქის ბნელი, ჭასავით უძირო კარებიც გამოჩნდა. მალე ჭიანჭველა ხორბალას შიგ ჩაათრევს...

— მიშველეთ, მიშველეთ! ყვირის ხორბალა, მიწასა და ბალახებს ებღაუჭება... ბედათ ქარმა ძლიერად შემოუბერა, ხორბალა ჰაერში აიტაცა და შორს გასტყორცნა, ძალიან შორს კი არა, სამ-ოთხ ნაბიჯზე გადაადგო, ჩუხჩუხით მომდინარე ნაკადულის მეორე მხარეს.

ხორბალამ თავისუფლად ამოიხვნეშა.

ჭიანჭველა გაღმა დარჩა.

— ახია შენზე, ახია, ხომ დარჩი პირში ჩალაგამოვლებული!—გასძახა ხორბალამ. ჭიანჭველა ნაკადულის ნაპირს მოადგა. ხორბალას სინანულით გახედა. მერე იქვე მდგარ ძურწა ბალახის შტოზე აცოცდა, დაღუნა, ახლა სხვა შტოზე გადაეკიდა...

— „მაინც თავს არ მანებებს ეგ ონავარი, ეგა... მალე ხიდს გააკეთებს და რა მეშველება?“ — შიშით გაიფიქრა ხორბალამ.

მოულოდნელად მხარზე ბარგადებული კოლმეურნე გლეხი გამოჩნდა. ის სწორედ ხორბალასაკენ მოდიოდა და ტკბილად ღიღინებდა.

— ადამიანო, ადამიანო, მე ხომ თქვენი პურის ღედა ვარ... აქეთ, აქეთ მოიხედე, ხელში ამიყვანე და ნათესში გადამაგდე ჩემს ტოლებთან! ყვირილით იჭეჭებოდა ხორბალა, მაგრამ მისი წრიპინი ბარიანი კაცის ვაჟკაცურ ღიღინში ინთქმებოდა. მან კინალამ ფეხი დაადგა ხორბალას. იქვე, მის მახლობლად დაჭკრა მზის სხივებზე აპრიალებული ბარი რუს ნაპირს, წყალი ნახნავისაკენ გადაუშვა. წყალი შხუილით დაეშვა თავქვე. ნაკადულის ერთი ტოტი ხორბალასაც მისწვდა, ნავივით აიტივტივა ტალღებზე და ქვევით გააქანა.

ხორბალა გულში ლოკავდა ბარიან კაცს. მას სწორედ იმ ნახნავში მიატივტივებდა ნაკადულის ტალღა, წელან მისი ამხანაგები რომ მიმოაბნიეს. მან უკან მოიხედა. რუს პირას მომდგარი ჭიანჭველა წერტილივით მოჩანდა. ალბათ წელანდელივით აღარ უხაროდა იმ მსუნაგს, სიამოვნებით აღარ აცმაცუნებდა შავ ულვაშებს.

— ნეტავ საით წამიღებს ტალღა?— გულისფანცქალით ეკითხებოდა თავის თავს წყალწაღებული ხორბალა. მიწა ხარბად იწოვდა წყალს, ტალღა თანდათან დაბლა ეშვებოდა. ხორბალამ მკერდი რამდენჯერმე გაჭკრა მიწას და იმედი მიეცა რომ წყალი მას ამ ნახნავში დასტოვებდა.

მართლაც ხორბალა სუსტმა ტალღამ ამაღლებულ ადგილას გარიყა. ხორბალამ მორწყულ ნათესს გადახედა და შვებით ამოისუნთქა.

„იღბალი მქონია, იქნებ ჩვენებს წავწყდე“, გაიფიქრა და მიმოიხედა. ვერავინ დაინახა. უკვე ღამდებოდა, გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარებით შეეკუმშა. მცირე ხნის შემდეგ იმედი ისევ მოეცა, თავი წამოსწია და დაქანცული ხმით დაიკივლა:

— ჰეი, ვინა ხართ ახლო... ხმა გამეცით!

ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. პურის მარცვლები, როგორც ჩანდა, ძილს მისცემოდნენ. ისმოდა მათი ჩუმი ფშვენა. ხორბალამ ძალა მოიკრიბა და ხმას აუწია:

— ამხანაგებო... გაიღვიძეთ, თქვენი დაკარგული ხორბალა მოვედი, ხმა გამეცით, რას გაჩუმებულხართ! — ხორბალას მახლობლად, სიბნელეში ფხვიერი მიწა შეირხა. ფშვენის ხმა შეწყდა. ვიღაცამ უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა:

— ვინ ოხერია, რომ ამ შუალამისას მოსვენებას არ გვაძლევს, — და მეორე მხარეზე გადაბრუნება დააპირა, მაგრამ გულზე დაბჯენილ მძიმე ბელტს ძვრაც ვერ უყო.

— ნაცნობი ხმაა, აბა ყური დაუგდე, — გამოეპასუხა წვრილკისერა მარცვალი, რომელსაც უვარგისი ბინა შეხვდა და უძილობა აწუხებდა.

ახლად გაღვიძებული მარცვალი ჯერ ხმამაღლა გაეხმაურა ხორბალას, მერე ყური მიწას დაადო და სიჩუმეში გაირინდა.

ხორბალამ ნამცეცას ხმა იცნო, სიხარული ყელში მოებჯინა და სულმოუთქმელად გასძახა:

— მე ვარ, მეთქი, მეე... თქვენი ხორბალა, თქვენი დაკარგული ძმობილი...

ნამცეცა სიხარულით შეხტა, ხმას აუწია და ტოლების გაღვიძებას შეუდგა...

— ძმებო, ხორბალა მოსულა, ხორბალა, გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ!

ჩაძინებულმა მარცვლებმა გამოიღვიძეს და ახმაურდნენ. ყველა ერთმანეთს ატყობინებდა ხორბალას გამოჩენის ამბავს, ყველა ულოცავდა.

— საიდან გაჩნდი?

— ვინ მოგიყვანა? — ერთმანეთს არ აცლიდნენ კითხვას მარცვლები.

— მოიცათ. ცალცალკე ხომ არ გვიამბობს? — დააშოშმინა ნამცეცამ ახმაურებული მარცვლები და ისევ ხორბალას გასძახა:

— გვიამბე, ბიჭო, როგორ გადარჩი, ვინ გიშველა, შენ ხომ სადღაც შორს დაგტოვეთ?

— ეჰ, ახლავე, ახლავე გიამბობთ, რა უბედურებაც გადამხდა, — ამოიოხრა ხორბალამ, სული მოითქვა და სმენადქცეულ მეგობრებს დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი.

მარცვლები სიხარულით ლოცავდნენ ბარიან კაცს, რომელსაც ხორბალა თავის მხსნელად სთვლიდა და გაიძახოდნენ:

— ბარაქალა ადამიანო, ისევ შენ, თორემ ხომ დაიღუპებოდა ჩვენი ხორბალა..

ხორბალას გული უტოკავდა მეგობრების თანაგრძნობას რომ ხედავდა. უნდოდა მათთვის შეეხედა, მათთან ერთად ყოფილიყო, მაგრამ წყვდიადი ღამე და გაუვალი, ფხვიერი მიწა ამის საშუალებას არ აძლევდა.

— მაინც, სადა ხარ ახლა, როგორ მოეწყვე? — შეეკითხა ნამცეცა.

— ეჰ, არც ამაში მქონია ბედი, წელზევით მცივა, ქარი მიბერავს, კიდევ კარგი, რომ წელქვემოთ მიწაში ვზივარ...

— ნუ გეშინია, ნუ... გაუძელი, ხომ ხედავ სოფელში მამლებმა მეორედ იყივლეს, საცაა გათენდება, მზე ამოვა, ვინმე გამოივლის და იქნებ რამე გეშველოს! — გაამხნევა ძილმორეულმა ნამცეცამ, დაამთქნარა, ხორბალას ძილინებისა უსურვა და საძილედ დაემზადა.

ხორბალას სუსხიანი ქარი უბერავდა, მიწისზევით დარჩენილ სხეულს უყინავდა.

დიდხანს, დიდხანს არ ჩაეძინა; ესმოდა თბილად მოკალათებული მეგობრების ნებიერი ფშვინვა და სიზმრის წამოძახილი.

ბოლოს დაღლილობამ თავისი გაიტანა; ხორბალას ჩაეძინა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო ადამია

ნახატი ალ. გიგოლაშვილისა

ჩვენი მხატვარი ხათუნი

ჩემი მეზობლის გოგონას,
პატარა გოგოს ხათუნის
ცარცით, ფანქრით და ნახშირით
სახლი აქვს მიმოხატული.

ალარ დაინდო კედელი
ხატავს დინჯად და ნელ-ნელა,
ხატავს უფეხო ბელურას,
იაიას და ენძელას.

დახატა ჩვენი მდინარე,
ჩვენი დამაზი მთა-ველი;
ახლა ბებიას შესცქერის—
ის დარჩა დაუხატველი!

როდესაც წამოიზარდა,
როცა შეიქნა ექვსისა,
როცა ისწავლა ანბანი,
ოთხი სტრიქონი ლექსისა,
მას „დედა-ენა“ უყიდეს
და სახატავი რვეული;
პატარა,
სუფთა,
დამაზი,
წითელყდაშემოხვეული!

ცერებზე შედგა ხათუნი—
აუხდა, რასაც ნატრობდა!
მერე რვეულში ჩახატა
წიგნში ნახული მხატვრობა:

აი, პატარა აკვანი
და გორისციხის კედელი;
ხუთქიმიანი ვარსკვლავი,
ჩვენი ზურმუხტი ტყე-ველი!

მერე-კი გმირი დახატა...
გალიმებული უმზერდა,
დიდი ლენინის ორდენი
ზედ დაახატა გულზედა.

ილია სიხარულიძე

სოკოები

ნაწვიმარზე ამოვდივართ
და ცალ ფეხზე სწორად ვდგებით,
ქოლგა მუდამ მიტომ გვხურავს,
რომ სულ წვიმას ველოდებით.

ტყეში ხშირად გვეწვევიან
ბიჭები და გოგოები,
რომ დაგვკრიფონ და კალათით
შინ წაგვიღონ სოკოები.

ნახატი პ. დათებაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ლომიძე

ნახატი ალ. ბანძელაძისა

მისაგაძი მაგალითი

თინას ყურადღება ქუჩაში თავმოყრილმა ხალხმა მიიპყრო. ქუჩის ორივე მხარეზე ორმოებს თხრიდნენ.

— ძია, ორმოებს რატომ თხრით? — შეეკითხა თინა ერთ-ერთ მუშას, რომელსაც ბარი ეჭირა.

— ევკალიპტები უნდა დავრგოთ. — მიუგო მან.

— რათა? განა ჭადარი არ სჯობია?!.

— იმ კაცთან მიდი, ის აგრონომია და ყველაფერს აგიხსნის, — უთხრა მუშამ და იქვე მდგომ ახალგაზრდასაკენ მიუთითა.

თინამ აგრონომთან მიირბინა.

— ძია სანდრო, ევკალიპტი როგორია, კარგი ხე არის?

— ევკალიპტს ზამთარსა და ზაფხულში მწვანე ფოთლები აქვს, ლამაზი ხეა, ჩქარა იზრდება, ჭაობიან ადგილას ძალიან ბევრ წყალს შეიწოვს და ამით ნიადაგს აშრობს. ევკალიპტის ფოთლებისაგან სხვადასხვა წამლებს აკეთებენ. აგრეთვე მისგან მშვენიერ საალმშენებლო მასალას ვღებულობთ. კოლოებს ევკალიპტის სუნი არ უყვართ, სადაც ევკალიპტია, იქ კოღოს ვერ ნახავ.

— ჩვენს ეზოში ბევრი კოღო გროვდება ზაფხულში. ევკალიპტი რომ დავრგოთ, კოღოები აღარ შემოფრინდებიან?

— არ შემოფრინდებიან.

— ძია, მომეცი ევკალიპტის ნერგი!

აგრონომს გაეცინა და თინას თავზე ხელი გადაუსვა.

— ხვალ საცდელ სადგურში მოდი და მოგცემ. ხომ კარგად მოუვლი?

— ჰო, ძია, ძლიერ კარგად მოვუვლი, — თქვა გახარებულმა თინამ და შინისაკენ მოჰკურცხლა.

* * *

მეორე დღეს, თინამ საცდელი სადგურიდან ოცი პატარა ნერგი წამოიღო და სახლის წინ დარგო. როგორც კი თვალს მოჰკრავდა ევკალიპტებთან ამოსულ ბალახს, იმ წამსვე ამოგლეჯდა: აქ რატომ ამოსულხართ, გინდათ ჩემს ევკალიპტებს საჭმელი წაართვათო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინას მისმა მეგობრებმა მიჰბაძეს, თავიანთ ეზოებში ევკალიპტები მოაშენეს. ევკალიპტების მოვლაში თინას განსაკუთრებით მისი ტოლი ლიზიკო ეჯიბრებოდა.

ევკალიპტები დღითი-დღე იზრდებოდნენ.

* * *

იმ წელს მკაცრი ზამთარი დადგა. განუწყვეტლივ თოვდა და ყინავდა. თინა ყოველ დილით ეზოში ჩარბოდა. იგი თოვლისაგან მოხრილ ევკალიპტებს შეარხევდა, თოვლი ჩამოცვივდებოდა და ევკალიპტები წელში სწორდებოდნენ.

ერთხელ თინა ევკალიპტების დასათვალიერებლად ეზოში გავიდა და უცებ ხმამაღლა ატირდა.

— ჩემი ევკალიპტები თოვლს გადაუტეხია. — შესჩივლა დედას თინამ და ტირილს უმატა.

—ყინვამ გაახმო, — უთხრა მამამ, — წელს ნორჩ ევკალიპტებს ასეთი ბედი ეწვია. მხოლოდ დიდ ხეებს ვერაფერი დააკლო ყინვამ.

ერთხელ თინა ლიზიკოსთან მივიდა და ჰკითხა:

— აღარ დარგავ ევკალიპტებს? ძია სანდროს კიდევ ვთხოვოთ ნერგები.

— ჩემი ევკალიპტები სულ გახმა, აღარ დავრგავ, ტყუილად რისთვის ვიწვალო?!

კვირას თინა საცდელი სადგურისაკენ გაემართა. ძალიან გაუხარდა, ძია სანდრო იქ რომ დაინახა.

— ნერგები მინდა, — გაუბედავად სთხოვა აგრონომს.

— ჩემო ჭკვიანო თინიკო, აი, ახლა ვიტყვი, რომ ჩინებული ბავშვი ხარ. ყოველთვის ისეთი სასტიკი ზამთარი ხომ არ იქნება, რომ ევკალიპტები გაახმოს... ერთხელ თუ გახმება, მეორედ უნდა დარგო, ბოლოს გაიმარჯვებ. — უთხრა ძია სანდრომ თინას, ევკალიპტის ნერგები მისცა და გამოისტუმრა.

* * *

თინა ახლაც სიყვარულით დასტრიალებდა ევკალიპტებს.

მეგობრები დასცინოდნენ:

— ტყუილად ირჯები, თინიკო, ზამთარი ისევ გაახმობს შენს ხეებს.

— გაახმოს, კიდევ დავრგავ, — უპასუხებდა თინა.

მართლაც, ზამთარს ზიანი არ მიუყენებია ევკალიპტებისათვის. რამდენიმე წელმა განვლო. ევკალიპტები დამსხვილდნენ, ტანი აიყარეს, ამაყად აშრიალებდნენ ფოთლებს.

მეგობრები აღარ დასცინოდნენ თინას, ნანობდნენ: რატომ არ მივბაძეთო.

ზაფხულში, როცა შესაღამოვდებოდა და კოლოები ზუილს ატეხ-ყებდნენ, თინას ეზო მისი მეგობრებით ივსებოდა.

— თინიკო, რა კარგია აქ; ერთი კოლოც კი არ არის! — შენიშნეს ერთხელ ბავშვებმა.

— თქვენთან ბევრია? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა თინამ.

— უჰ... დაგვჭამეს, იმდენია...

თინამ მეგობრებს გადახედა და ყველას გაეღიმა, მერე თინას გამოუტყდნენ:

— გუშინ, ჩვენ ყველანი საცდელ სადგურში ვიყავით და ევკალიპტის ნერგები წამოვიღეთ. ჩქარა ჩვენს ეზოშიც ვეღარც ნახავ კოლოს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენგსტონ ჰიუზი*)

ნახატი ვლ. ტოროტაძისა

ბავშვთა დღე

იმ ზაფხულს სტენტონში ახალი ბაღი გახსნეს. ეს იყო მთელს ქალაქში ყველაზე უკეთ მოწყობილი პარკი ათასნაირი გასართობებით, კარუსელით, საქანელათი და კინო-თეატრით.

სტენტონის გაზეთმა „დეილი ლიდერმა" გადაწყვიტა სახელი მოეხვეჭა პარკისათვის და 1 ივლისის ნომერში გამოაქვეყნა განცხადება სათაურით:—„ბავშვთა დღე".

აი, რა ეწერა განცხადებაში:

„26 ივლისს, ჩვენი გაზეთის ყველა მკითხველს შეუძლია გაგზავნოს ბავშვები ახალ პარკში. ამ დღეს მათთვის უფასო იქნება პარკში შესვლა, გასართობები, კარუსელი, საქანელა, კინო და თეატრი. უფასო იქნება აგრეთვე ლიმონათი და ყველაფერი, რასაც კი პარკში ნახავენ. მხოლოდ მათ უნდა წარმოადგინონ ჩვენი გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები 1-დან 26 ივლისამდე".

ასე, რომ ბავშვებს უნდა შეეგროვებინათ გაზეთის ყველა ნომერი 1 ივლისიდან დაწყებული 26 ივლისამდე, ამოეჭრათ იქიდან კუპონები (ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ მათ ყველა გაზეთი შეიძინეს) და ბავშვთა დღეს — 26 ივლისს პარკში უფასოდ შევიდოდნენ.

პატარა ზანგის ბიჭმა სანდი როჯესმა და მისმა პატარა მეგობარმა გოგონამ უილი-მეიმ დაიწყეს კუპონების შეგროვება. და განა მარტო მათ?! ყველა ქალაქელი ბავშვი აგროვებდა კუპონებს და ერთთავად ბავშვთა დღეზე ლაპარაკობდნენ:

— რა კარგი იქნება!—ეუბნებოდნენ ისინი ერთმანეთს.

როგორც იყო ეს დღეც მოვიდა. უილი-მეიმ თეთრი, სუფთა კაბა

*) **ლენგსტონ ჰიუზი** ცნობილი ზანგი ამერიკელი მწერალია. მას ბევრი მოთხრობა აქვს დაწერილი ამერიკელი ზანგების მძიმე მდგომარეობის შესახებ. ეს მოთხრობა იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიცვა, მაგრამ ეს იყო, რომ თავისი ყვითელი ფეხსაცმელები უჭერდა და ფეხს ძალიან სტკენდა. დედამ სანდის ხალათი გაურეცხა და პირი კარგად დააბანინა.

— თეთრკანიან ბავშვებთან იქნები, სუფთად უნდა იყო.—უთხრა მან.

ბავშვებმა პარკისაკენ გასწიეს.

— სანდი, კუპონები დაგავიწყდა! —გასძახა დიდედამ.

სანდი საჩქაროდ დაბრუნდა და კუპონები წაიღო.

— რა კარგია, რომ დიდედამ გამახსენა. უამისოდ ვინ შეგვიშვებდა!

პარკამდე კარგა გრძელი გზა ჰქონდათ. უილი-მეიმ ფეხსაცმელები გაიხადა და ხელში დაიჭირა. კუპონებს გულში იკრავდა.

გამოჩნდა პარკის ჭიშკარი! გაისმა მუსიკის და ბავშვების ჟრიამულის ხმა. ცაში ავარდნილ საქანელას შორიდანვე მოჰკრეს თვალი. უილი-მეიმ ფეხსაცმელები ჩაიცვა.

— პირველად კარუსელით გავიქროლებ.—თქვა სანდიმ.

რამდენი ბავშვი მოგროვილიყო შესასვლელთან! თეთრები, სუფთად ჩაცმულები, ლამაზები.

უილი-მეი და სანდი რიგში ჩადგნენ. ჩქარა უახლოვდებოდნენ ჭიშკარს. აი, სულ რამდენიმე ბავშვი დარჩა მათ წინ! მერე ხუთი ბავშვი! ორი! აი, გაუწოდა უილი-მეიმ მეკარეს კუპონები!

მეკარე დაიბღვირა:

— თქვენ აქ რა გინდათ!—თქვა, მან, — ეს თეთრკანიანი ბავშვების დღესასწაულია.

უილი-მეი გაშეშდა, თითქოს ვერ გაიგონა რა უთხრეს და კიდევ შეხედა მეკარეს.

— აბა, ჩამოდექით! გზა მიეცით, —გაიმეორა მეკარემ.— აკი გეუბნებით, ეს ზანგების დღესასწაული არ არის! აბა ის თეთრი გოგონა გამოატარეთ!

ორი ზანგი ბავშვი გვერდზე მიდგა და თეთრკანიანთა მწკრივმა კვლავ განაგრძო ბაღისაკენ დენა. მხოლოდ ახლა შენიშნეს სანდიმ და უილი-მეიმ, რომ ზანგის ბავშვები მოშორებით იდგნენ. მათ შორის იყო სედი ბატლერიც, სანდის ამხანაგი, სამი თუ ოთხი პატარა ზანგი ტიროდა, სხვები უხმოდ იდგნენ, მოღუშულები.

— მამაჩემი მუდამ ყიდულობს ამ გაზეთს,—ამბობდა სედი ბატლერი, —შეხე, რა სწერია კუპონზე: „სტენტონელ ბავშვებს, ყველას შეუძლია პარკში უფასოდ შესვლა". აბა, წაიკითხე, სანდი!

უილი-მეიმ ტირილი დაიწყო;

— მოვედი ჭიშკართან და მეკარემ მომაძახა: ეი, სად მოეჩხირები? ეს თეთრკანიანებისათვის არის! შინ წავალ და მამაჩემს ვეტყვი.—განაგრძობდა სედი.

თეთრი ბავშვები კვლავ მოედინებოდნენ პარკისაკენ.

უილი-მეი ჩამოჯდა, ფეხსაცმელები უჭერდა საბრალო ბავშვს, ცრემლები აღრჩობდა.

სედიმ თავისი სკოლელი ბიჭი თეთრკანიანი ტომი, დაინახა.

— რატომ არ შედიხარ სანდი, ამ პატარა გოგოს ფეხი სტკივა?— ჰკითხა ტომმა.

— არა, ისე არ შევდივართ... აჰა, ტომ! ჩემი კუპონებიც შენ გქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთში სწერია: ვისაც ზედმეტი კუპონები ექნება—მეტ ლიმონათს მისცემენო... აიღე, გამომართვი!

თეთრმა ბიჭმა უხმოდ გამოართვა კუპონები, ცოტა ხანს იდგა, თითქოს დარცხვენილი, მერე კი უხმოდვე გასწია ჭიშკარისკენ.

— თქვენი დღესასწაულია, თეთრო ბავშვებო!—დაცინვით წამოიძახა პატარა ზანგმა გოგონამ. მერე მეკარესავით დაიბღვირა და ისეთივე ხმით წარმოსთქვა: — ეი, სად მიეჩხირებით? ეს თეთრკანიანებისათვის არის!

ისე კარგად გააჯავრა პატარა გოგონამ, რომ ცრემლმორეულ ბავშვებსაც კი გაეცინათ. შემდეგ მუსიკისა და თეთრი ბავშვების მხიარული ჟრიამულის ხმებში პატარა ზანგები ქალაქის გზას დაადგნენ. გზაზე მათ ხვდებოდათ პარკისაკენ მიმავალი ზანგი ბავშვები კუპონებით ხელში, გაბრწყინებული თვალებით.

—საით მიდიხართ?—შესძახოდნენ ისინი, — დღესასწაული მხოლოდ თეთრი ბავშვებისათვის არის!

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ

ნინო ნაკაშიძე

ნახატები გრ. ჩირინაშვილისა

ბოსტანში

ბოსტანში ლობესთან სიმინდები აშოლტილიყვნენ, მხიარულად აქანაობდნენ გრძელ მწვანე ფოთლებს და მღეროდნენ:

„ასლამაზა მე მქვია,
ასი ფარჩა მაცვია,
სირმის ფერი ქოჩორი
თავზე გადამვარცხნია“.

— აი ასე ვუყვარვართ ჩვენ სიმინდები ყველას. ხომ გესმით, ჰეი, თქვენ ჯუჯა ბოსტნეულებო, რა გამოცანა გამოგვითქვა ხალხმა. კარგად დაიხსომეთ პრასავ, ხახვო, ნესვო, სტაფილოვ და სხვებო და სხვებო, — გადმოსძახა მეზობლებს სიმინდმა.

— უყურე ერთი, ამ მკვეხარას! — გაბრაზდა პრასა, — განა მე თქვენზე ნაკლები ვარ? იცით, თუ არა, რომ უჩემოდ არცერთი გემრიელი საჭმელი არ კეთდება და ჩემი წნილი ხომ განთქმულია. მე ნაკლები ლექსი გამომითქვეს ადამიანებმა? აბა მიყურეთ! — შესძახა პრასამ და დაიმღერა:

„ანდაკეცა, მანდაკეცა,
ქალი იჯდა, თმა დაკეცა,
თავზე ლეჩაქი ეხურა,
აქეთ-იქით გადაკეცა“

რა, ცუდი სიმღერაა, აყლაყუდა სიმინდო? შენ რა ხარ? თუ ყველი არ დაგეხმარა შენი ფქვილის მჭადს რომ გამოაცხობენ, ვის მიაჩნია გემრიელად... მე ხომ სტაფილო არ გგონივარ, მახრას რომ უყვარს და ხრავს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რაო, რაო? — გაჯავრდა სტაფილო, ვინ არის შენი დასაცინი. ჩემისთანა ლექსი-გამოცანა აბა ვის გამოუთქვეს:

„ლამაზი ცირა
საკანში იჯდა,
თმა-დალალებსა
მზეზე იშლიდა“.

ყველას ვუყვარვარ, ბავშვებსაც; იმიტომ, რომ ტკბილი ვარ. წვენს ისე არ გააკეთებენ, რომ ჩემი ლამაზი ძირები შიგ არ ჩააჭრან, გემოსათვის და ძარღვებში სისხლის მოსამატებლად. მახრა რა სახსენებელია, შენ ისეთი უგემური ხარ, ბავშვები კი არა მახრაც არ გეკარება.

— ძალიან მოგხვდა, პრასავ, — გადმოსძახა მაღლიდან დიდმა მზესუმზირამ, — უმჯობესია შენ და ხახვი დაჩუმდეთ. თქვენ ორივე ერთი ჯიშისა ხართ, აბა ერთი ისმინეთ რა გამოცანა გამოუთქვეს ხახვს:

„მოხუცებულ ბებუაჩემს
ტანზე ეცვა ოცი ჩოხა,
ვინც გახადა, ცრემლი ღვარა,
მთლად ლოყები დაიკოხა!“

თქვენ ლობიოსათვის ხართ სანუკვარი საკმაზი. აი, იმ ლობიოსათვის რომელიც ზედაც უთქვამთ:

„დუღს, დუღს, ხვარხვალებს,
მოსწყურდება — წყალს დალევს“!

საქებარნი ჩვენა ვართ, მზესავით გაშლილი დიდი ყვავილები გვაქვს, ყველას ახარებს ჩვენი დანახვა. მუდამ მზეს ვუყურებთ თვალში.

— გაჩერდი, თუ ხათრი გაქვს, მზესუმზირავ! — შესძახა ხშირ ფოთლებში ჩაწოლილმა ნესვმა. — შენს ყვავილს ადამიანები გობს ეძახიან. აი რა გამოცანაა შენზე გამოთქმული:

„ყვითელ გობში ჩაკენკილა
ბლომად შავი სახლი,
თითო სახლში ჩასაფრულა
თითო თეთრი ბავშვი“.

— საქები თუ ვინმეა, ამ ბოსტანში მე ვარ. ყველას უყვარვარ. — თქვა ყვითელმა ნესვმა.

მზესუმზირამ თაკი დახარა, თითქოს შერცხვაო, მაგრამ მერე შესძახა:

— საშველად კი უყვარხარ ადამიანს ზაფხულში, გრილი ხარ და ტკბილი, მაგრამ შენზე მაინცდამაინც საქები გამოცანა არ უთქვამთ, აბა მოისმინეთ:

„თოკი სვამს, ხბო იბერება“.

რა ქებაა ეს?..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხა, ხა, ხა, — გადატრიალდა სიცილით დიდი მწვანე საზამთრო: — მოგხვდა ნესვო, დიდგულად რომ მიყურებდი! ჩემზე კი ადამიანები ამბობენ:

„გარეთ — ატლასი,
შიგნით — ათასი“.

— რას ამბობ, საზამთროვ, — შეაწყვეტინა სიტყვა მეზობელ კვალში თავშეხვეულმა კომბოსტომ, ეს ბროწეულზეა ნათქვამი, — შენზე ამბობენ:

„თუმცა სუსტი ციხე ვიყავ,
მაგრამ დიდი ჯარი მყავდა,
როცა მტერმა დამაქცია
ყველა ერთად გამეფანტა“.

აი, ჩემზე კი გავიგე, ამბობენ:

„ვის აცვია ასი კაბა,
თუ ბიჭი ხარ, მითხარ, აბა“!

ასი კაბა მაცვია და საჭმელადაც სიამოვნებით მეტანება ადამიანი. აი, წითელ ლამაზ წიწაკას, თუმც კი უყვართ და შეჭამანდისათვის ხმარობენ, მაგრამ გამოკანა ცუდი გამოუგონეს, ყური მიგდეთ:

„კუდიანი ავი ქალი,
ჩვენს ლობეში იყურება“!

— ეს ლექსი ნამდვილი უმადურობაა! — აპილპილდა წიწაკა.

— რასაკვირველია, უმადურობაა, ყველა საჭირო ხართ ადამიანებისათვის, — თქვა შვინდმა და კოხტად დაიწკრიალა წითელი მარცვლები. აი ჩემზე უთქვამთ:

„ქალს საყურები ჩამოვხსენ,
ჩავაწკრიალე კალათში,
შინ მივიტანე, ბავშვებმა:
ჩაგვიყარეო ხალათში“.

— ეს კარგია, მაგრამ შენ, მოკრეფისას, წვრილი ბუსუსებით რომ სუსხავ ხოლმე ბავშვებს! — გაისმა ხმები.

— კიდევ ვის სურს ლაპარაკი? — წამოსწია თავი ყაყაჩომ.

— ხა, ხა, ხა, — ასტეხა ყველამ ხარხარი: — ყაყაჩოვ, აქ რა გინდა! შენ რა ბოსტნეული ხარ?

— მე ჩემი ნებით მოვედი ბოსტანში, რომ დაგამშვენოთ, არ გაგიგონიათ?

„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
დედა გაუხარებია“.

ამბობდა ყაყაჩო და თავს უკრავდა ყველას.

— ჰო, ჰო, ჩვენთან იყოს! — გასძახეს ერთხმად ჭარხალმა, ბოლოკმა, კიტრმა, ოხრახუშმა, წიწმატმა, გოგრამ, ტარხუნამ და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიჯანი

მზიას მეგობრები

მზიას ძალიან უყვარდა ფრინველები. თუ სადმე დაინახავდა, რომ ბიჭები ჩიტებზე ნადირობდნენ, უეჭველად გამოესარჩლებოდა.

დედას მზია არაერთხელ დაუტუქსავს, იმისათვის, რომ კაბის და წინსაფრის ჯიბეებში მუდამ პურის ნამცეცები ეყარა.

ჩიტებიც თითქოს გრძნობდნენ მზიას სიყვარულს და იმისი სახლის გარშემო ქღურტული და ჟრიამული გაჰქონდათ.

ზამთარში კი ბეღურები და სკვინჩები იმ არემარეს არ შორდებოდნენ.

მზია ფანჯრიდან უყრიდა საკენკს და ჩიტუნები ისე გათამამდნენ, რომ ფანჯრის მინებს ნისკარტით უკაკუნებდნენ.

ზაფხულში ღია ფანჯრებში შეფრინდებოდნენ, ოთახში ორიოდე წრეს შემოუვლიდნენ და ისევ ჰაერში შეინავარდებდნენ.

ზაფხულის ცხელი დღე იყო. მზია ღია ფანჯარასთან საწოლზე იწვა. ცალი ხელი ლოყის ქვეშ ამოედო და მშვიდად ეძინა.

ამ დროს მომწვანო მორიელი ფანჯრის რაფაზე ამოძვრა და მზეზე ისე ნებივრობდა თითქოს მის სხეულში ერთი წვეთი შხამი არ ყოფილიყოს! მარწუხებიან წინა კიდურებს ნელა ათამაშებდა, კუდს ოდნავ ზევით სწევდა. ეს ამბავი ხის ტოტზე შემომჯდარმა სკვინჩამ შენიშნა, მეორე სკვინჩას თავისებურად გადასძახა, შემდეგ ორივენი ფანჯრისაკენ შურდულივით დაეშვნენ.

ორი სკვინჩა მორიელს თავს დაადგა. მორიელმა თითქოს საფრთხე იგრძნო, კუდი მაღლა ასწია და დასაცავად მოემზადა.

ფრინველების ფრთხიალზე მზიამ თვალები გაახილა. ვერ გამორკვეულიყო, მაგრამ მალე შენიშნა, რომ აფხორილი სკვინჩები საბრძოლველად გამზადებულიყვნენ.

მზიას მორიელის დანახვაზე შეეშინდა და ყვირილი დაიწყო:

—დედა, დედა! ჩიტებს მოხედე!

შეშინებული დედა მეორე ოთახიდან რომ გამოვიდა, სკვინჩებს მორიელი უკვე შუაზე გაეწყვიტათ. ჩიტები მზიას ხმაურზე აფრინდნენ და ხის ტოტიდან დასცქეროდნენ თავიანთ მსხვერპლს.

მზია დარწმუნებული იყო, რომ მორიელი იმის საკბენად მიცოცავდა.

დედამ ფრთხილად აიღო მორიელი, შუშაში ჩასდო და ზეთი დაასხა.

— რად გინდა რომ ინახავ?!—გაუკვირდა მზიას.

— ამბობენ: მორიელის შხამით შეზავებული ზეთი უებარი წამალია მორიელის ნაკბენის მოსარჩენადო.

მზია დიდხანს ათვალიერებდა შუშაში მოთავსებულ მორიელს. თუ ვინმე ესტუმრებოდათ, მზია დიდი აღტაცებით უამბობდა:

— ვხედავდი, როგორ აპირებდა მორიელი ჩემსკენ გამოცოცებას, უეჭველად მიკბენდა, რომ სკვინჩებს არ შეენიშნათ, მორიელი ისეთი შხამიანია, რომ ადამიანსაც სწამლავს. მე ჩემმა მეგობრებმა გადამარჩინეს !

ნახატი ალ. ბანძელაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზი

ვაზი გახლავართ, ვაზი; ჰიგოს-ჩახვეული, ღია-მწვანეთ გაფოთლილი, შაბიამნის ცისფერი ტალღებით დაწინწკლული და გასხლული...

არ მახსოვს სად დავიბადე, როდის, ერთი კია, ორიათასი წლის წინათ, თვალი რომ გავახილე და ლურჯი ქედები დავინახე, საქართველოში ხარო — მითხრა გლეხკაცმა. მერე ლერწი ფრთხილად გადამიწია და კვირტი ჩამიკოცნა...

მას შემდეგ ვცოცხლობ ნამდვილი სიცოცხლით, გავთამამდი და გავლაღდი, გავხშირდი და გავმრავლდი... ვაზი გახლავართ, ვაზი, საქართველოს სილამაზე, სიმდიდრე და სიამაყე.

რქაწითელი და ძელშავი, საფერავი და თითა, ხარითვალა და ბუდეშური, ალექსანდროული და კლარჯული, მწვანე და ოქროს ვაზი... ვინ მოსთვლის ქართული ვაზის ოჯახს! ვინ გამოსთქვამს ქართველი კაცის სიყვარულს ჩემდამი. ჩემზე იტყვიან; „ვაზის ჭირიმე, ვაზისაო", ჩემზე ამბობდნენ სამშობლოს მტრები: ქართული მიწა ვაზით არის ლამაზიო, ვაზით არის მდიდარი და ძლიერიო.

წანწკარებდა და ჩინჩხლებსა ჰყრიდა ქართული ღვინო, მაგრამ მარტო ღვინით როდი ვამშვენებდი ქართველი გლეხკაცის სუფრას! ფელამუში და ბადაგი, ტკბილი კვერი და ჩურჩხელა, ჩამიჩი და, ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ ახარებდა დიდსა და პატარას. ჯუჯა თურქი, შავი სპარსი და წვრილთვალა მონღოლი არ ასვენებდა საქართველოს, ქართველთა ლაშქარი ომახიან მხედრულს მღეროდა და პურის ნაცვლად იცით რა მიჰქონდა ომში საგზლად?!

ჩურჩხელები და ტკბილი კვერი!

ჩურჩხელა და ტკბილი კვერი მიჰქონდა ლაშქარს ურჯულოსთან ომში, იმიტომ რომ, ასეთი საგზალი მჩატეც იყო, მოხერხებულიც იყო სატარებლად და ამასთან ერთად მსუყეცა და გემრიელიც... განრისხებულმა შახაბასმა და ბოროტმა თემურლენგმა ქართული ვაზის ძირიანად აჩეხვა ბრძანეს.

მკაფავდა მონღოლი, მთელავდა სპარსი, ძირფესვიანად მთხრიდა თურქი, მაგრამ არ მოვკვდი; წლობით ვთვლემდი გათელილი და წაქცეული მშობლურ მიწაში და ისევ გავიფოთლებოდი.

ვაზი გახლავართ, ვაზი, გადარჩენილი ქართული ვაზი! საბჭოების ცისქვეშ კიდევ უფრო გავხშირდი, გავმრავლდი, ზეცას მივწვდი და გავთამამდი, მესხეთს ისევ დავსახლდი, კავკასიონს გადავაბიჯე და დიად რუსეთშიც მოვიკიდე ფეხი. დიდმა ივანე მიჩურინმა მიშველა: თავს მევლებოდა, დამხაროდა და დამფოფინებდა. ყინვისგამძლედ მაქცია და ჩვენს დიდ ოჯახს კიდევ ბევრი ღვიძლი ძმა შეჰმატა. დიდ რუსეთშიც მყვანან ძმები.

ჰყვავიან ახლა საკოლმეურნეო ვენახები, ქართველ კოლმეურნეს უფრო მეტად შევუყვარდი და კიდევ მეტი მზრუნველობით დამტრიალებს თავს. მეცნიერებმა გამოიკვლიეს რომ დაუფასებელია ჩემი ნაყოფი ადამიანის ჯანმრთელობისათვის. სანახევროდ შაქარი გახლავართ და ყურძნის წვენით ბავშვებს ვკურნავ.

ვაზი გახლავართ, ქართული ვაზი, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და სილამაზე!

ბ. მინდაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიუტი ბეკეკა

1. დედიკო, ისეთი კარგი ხტომა ვისწავლე, რომ ამ ღობეს გადავახტებიო,—უთხრა ერთხელ ბეკეკამ დედას.

არა შვილო, აქ გადახტომა არ შეიძლება, ბოხტანი გაფუჭდებაო,—ურჩია დედამ, მაგრამ ბეკეკამ არ დაუჯერა და ღობეს გადაახტა.

2. თურმე, ღობის იქით, ხის ძირას ძაღლს ეძინა და ჯიუტი ბეკეკა მძინარე ბროლიას ზედ დაეცა.

გაოცებული ბროლია წამოხტა და მოულოდნელი სტუმარი დაკბინა. ბეკეკა ყვიროდა: ვაიმეეე დედიკო, მიშველეო...

3. თხამ რომ შვილის ყვირილი გაიგონა, მისაშველებლად ღობეს გადაახტა და ძაღლს შეუტია.

4. არიქა, თხები შემოპარულან, ბოხტანს გამიფუჭებენო,—დაიძახა გელამ და ორივეს სახრით გამოეკიდა.

Тбил. гос. ... ин-т
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

5. ვაიმე... დედიკო, როგორ მტკივა ნაკბენი...—ყვიროდა დასჯილი ბეკეკა.
დაიმახსოვრე: ჯიუტი შვილი მშობლების შემაწუხებელიაო!—უპასუხა თხამ.

4932

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

არნო ონელი

ტყის მეგობრები

კვირა არის. დილიდანვე
დიდებული დადგა დარი
ტყის მშვენების სანახავად
მივდივარ და მივიჩქარი
წინ შემომხვდნენ ნუკრებივით
ნიკო, რეზო და ნოდარი,
სამი გმირი—სწავლის გმირი,
სამივე ტყის მეგობარი.
მივდივართ და მივიმღერით
გულს გვიხარებს სიო წყნარი,
პეპლებივით გადმოფრიდნენ
ნინო, ნელი და თამარი,
სამი გმირი—სწავლის გმირი,
ტყის სამივე მეგობარი,
ტყე ზეიმით მოგვესალმა
შუბლს გვასხურა ვერცხლის ცვარი,
მოგვაგება ნაკადულიც
ყვავილებში ნაცელქარი:
ვერხვმა წიფელს გადასძახა,
წიფელმა ნაძვს, ნაძვმა თელას,
თელამ რცხილას, რცხილამ ტირიფს,
მუხამ ბანი უთხრა ყველას,
და ყიჟინით მხიარულით
ფეხზე დადგა მთა და ბარი:
— გვიხაროდეს, გვესტუმრაო
შვიდი ნორჩი მეგობარი.

ნახატი **პ. დათებაშვილისა**

პირველ გვერდზე „ზღვაზე“ ნახატი **შალვა ცხადაძისა**

პასუხისმგებელი რედაქტორი **რ. მარგიანი**
სარედაქციო კოლეგია: **გრ. აბაშიძე, ე. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, შ. ცხადაძე. თ. თუმანიშვილი, მაყვ. მრევლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფეკოშვილი,**

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 სართ. ტელ 3-81-85

გამოცემლობის შეკვ. № 79 სტამბის შეკვ. 755/1488 ტირაჟი 7000 უე 03637 **ფასი 5 მან.**

ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარა“ ვოსტოკას“ სტამბაში. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42